სექსიზმთან ბრძოლა და მისი პრევენცია



რეკომენდაცია CM/REC(2019)1

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

სექსიზმთან ბრძოლა და მისი პრევენცია

რეკომენდაცია CM/Rec(2019)1

სექსიზმთან ბრძოლა და მისი პრევენცია

რეკომენდაცია CM/Rec(2019)1
მიღებულია ევროპის საბჭოს
მინისტრთა კომიტეტის მიერ
2019 წლის 27 მარტი

ევროპის საბჭო

ფრანგული გამოცემა:
Prévention et lutte contre le sexisme
წინამდებარე გამოცემის რეპროდუქცია ნებადართულია მხოლოდ წყაროს (ევროპის საბჭო) და სათაურის სრულად მითითებით. თუ გსურთ ტექსტის კომერციული მიზნებით გამოყენება, ან ევროპის საბჭოს არაოფიციალურ ენაზე თარგმნა, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: publishing@coe.int.

ყდა და დიზაინი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო.

© ევროპის საბჭო, 2019 წლის აპრილი
ხელახლა გამოცემის თარიღი: 2019 წლის ივნისი
დაბეჭდილია ევროპის საბჭოში
© ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, 2019 წლის ნოემბერი.
ქართული თარგმანი

სარჩევი

რეკომენდაცია CM/REC(2019)1 **5**

CM/REC(2019)1 რეკომენდაციის დანართი **10**

I. სექსიზმზე რეაგირების ზოგადი ინსტრუმენტები და ღონისძიებები **13**
I.A. კანონმდებლობა და პოლიტიკა 13
I.B. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები 14

II. სექსიზმსა და სექსისტურ ქცევაზე რეაგირების კონკრეტული ინსტრუმენტები და ღონისძიებები მაღალი რისკის სფეროებში **16**
II.A. ენა და კომუნიკაციები 16
II.B. ინტერნეტი, სოციალური მედია და სექსისტური სიძულვილის ენა ინტერნეტსივრცეში 17
II.C. მედია, სარეკლამო ინდუსტრია და კომუნიკაციის სხვა პროდუქტები და სერვისები 19
II.D. სამუშაო ადგილი 21
II.E. საჯარო სექტორი 23
II.F. მართლმსაჯულების სექტორი 24
II.G. საგანმანათლებლო დაწესებულებები 25
II.H. კულტურა და სპორტი 26
II.I. კერძო სფერო 28

III. ანგარიშგება და შეფასება **29**

რეკომენდაცია CM/Rec(2019)1[1]

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 27 მარტს, მინისტრთა მოადგილეების 1342-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15(ბ) მუხლის თანახმად:

ითვალისწინებს რა, რომ გენდერული თანასწორობა უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის ფუნქციონირებისა და კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის პატივისცემისა და საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის; მოიცავს ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების თანაბარ უფლებებსა და ხილვადობას, გაძლიერებას, პასუხისმგებლობასა და მონაწილეობას საჯარო თუ კერძო ცხოვრების ყველა სფეროში; გულისხმობს ქალებსა და კაცებს შორის რესურსების თანაბარ განაწილებას და წვდომას, ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის 2018-2023 წლების სტრატეგიის შესაბამისად;

ითვალისწინებს რა, რომ დისკრიმინაცია სქესის და/ან გენდერის ნიშნით არის ადამიანის უფლებათა დარღვევა და აფერხებს ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობას გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 28-ე ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც შეეხება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-2 მუხლით მხარე სახელმწიფოებისთვის განსაზღვრულ ძირითად მოვალეობებს;

ითვალისწინებს რა, რომ სექსიზმი არის ქალებსა და კაცებს შორის ძალთა ისტორიული უთანასწორო თანაფარდობის გამოვლინება, რაც იწვევს დისკრიმინაციას და ხელს უშლის ქალების სრულფასოვან განვითარებას საზოგადოებაში;

აღნიშნავს რა, რომ სექსიზმი ფართოდ გავრცელებული და დამკვიდრებულია ყველა სექტორსა და საზოგადოებაში;

ადასტურებს რა, რომ სექსიზმს განამტკიცებს გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც გავლენას ახდენს ქალებზე, კაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე, და ეწინააღმდეგება გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიური საზოგადოების მიღწევას;

---

[1] წინამდებარე რეკომენდაციის მიღებისას, რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მინისტრთა მოადგილეების შეხვედრის რეგლამენტის 10(2გ) მუხლის თანახმად, რუსეთის მთავრობა იტოვებს უფლებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს წინამდებარე რეკომენდაცია, კერძოდ, პრეამბულის მე-3 პუნქტი, და უარი თქვას ტერმინ "გენდერის" გამოყენებაზე, ვინაიდან რუსული კანონმდებლობა არ შეიცავს "გენდერის" კონცეფციას და საერთაშორისო დონეზე არ არსებობს ტერმინ "გენდერის" საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ამასთან, რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ ინტერსექსი და ტრანსგენდერი ადამიანები წინამდებარე რეკომენდაციის მოქმედების სფეროში არ ხვდებიან.

აღნიშნავს რა, რომ სექსიზმი ბარიერია ქალებისა და გოგონების გაძლიერებისთვის და მათზე არათანაზომიერად აისახება სექსისტური ქცევა; რომ გენდერული სტერეოტიპები და თანდაყოლილი მიკერძოებული დამოკიდებულებები განსაზღვრავს კაცებისა და ბიჭების ქცევას, მოლოდინებსა თუ ნორმებს და, შესაბამისად, იწვევს სექსისტურ ქმედებებს;

შეშფოთებულია რა, რომ სექსიზმი უკავშირდება ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობას, „ყოველდღიური“ სექსიზმის შემთხვევები კი ძალადობის კონტინუუმის შემადგენელი ნაწილია და ქმნის ზეწოლის, შიშის, დისკრიმინაციის, გარიყვისა და დაუცველობის ატმოსფეროს, რაც ზღუდავს შესაძლებლობებსა და თავისუფლებებს;

აღნიშნავს რა, რომ ქალებმა და გოგონებმა შეიძლება განიცადონ დისკრიმინაციის მრავალგვარი და ურთიერთგადამკვეთი ფორმები, ასევე, სექსიზმი, დისკრიმინაციულ, სიძულვილის შემცველ და სხვა საზიანო ქცევასა თუ ნორმებთან ერთობლიობაში;

აცნობიერებს რა, რომ სექსიზმი და სექსისტური ქცევა გამოიხატება ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ დონეებზე და სამივე მათგანზე აქვს დამაზიანებელი ეფექტი, რის გამოც ბრძოლისა და პრევენციის ზომების მიღება საჭიროა ყველა დონეზე;

იხსენებს რა 1979 წლის გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას (CEDAW), რომელიც მხარე სახელმწიფოებს აკისრებს ყველა სათანადო ზომის მიღებას, რათა „შეცვალონ კაცებისა და ქალების ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენების, ასევე, ყველა იმ ჩვეულებისა თუ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომლებიც ეფუძნება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნებისა თუ უპირატესობის იდეას, ანდა ქალებისა და კაცების როლების სტერეოტიპულ წარმოდგენებს“.

ითვალისწინებს რა ამოცანებს, დასახულს გაეროს მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე (ქალთა შესახებ, 1995) მიღებულ პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმაში, განსაკუთრებით, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ორგანიზებული რეგიონული მიმოხილვითი შეხვედრის „პეკინი+20-ის“ (2014) ანგარიშს, რომლის თანახმადაც, „დისკრიმინაციული სტერეოტიპები კვლავ ფართოდ არის გავრცელებული და გავლენას ახდენს ქალთა განათლებაზე, ასევე, ეკონომიკურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობაზე“;

ითვალისწინებს რა გაეროს 2020 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგს, კერძოდ, მე-5 („გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერება“), მე-16 („მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის და ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე“) და მე-4 („ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შექმნა ყველასთვის“) მიზნებს, რომლებსაც საყოველთაო გამოყენება აქვს;

ითვალისწინებს რა გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციას (1989) და ბავშვის ან მისი მშობლისა თუ კანონიერი მეურვის სქესის ნიშნით მოტივირებული დისკრიმინაციის აკრძალვას, რომელსაც კონვენცია ადგენს;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციას (ETS No. 5) და მის მიერ დისკრიმინაციის აკრძალვას ადამიანის უფლებებით სარგებლობისას;

ითვალისწინებს რა, რომ გენდერულ სტერეოტიპებსა და სექსიზმთან ბრძოლა, ასევე, გენდერული თანასწორობის კონცეფციათა ინტეგრირება ყველა პოლიტიკასა თუ ღონისძიებაში, ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და რეკომენდაციების პრიორიტეტული ამოცანაა;

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (CEST No.201, სტამბოლის კონვენცია) მხარეებს ავალდებულებს ყველა საჭირო ზომის მიღებას „ქალისა და კაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგად, იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და კაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს“; ასევე, მხარეებისგან მოითხოვს ადეკვნების კრიმინალიზებას და საჭირო ზომების გატარებას სექსუალურ შევიწროებაზე სისხლისსამართლებრივი თუ სხვა სანქციების დასაწესებლად.

ითვალისწინებს რა ევროპის სოციალურ ქარტიას (ETS No.35, ETS No.163 [გადახედილი]) და მის დებულებებს თანასწორ შესაძლებლობებზე, დისკრიმინაციის აკრძალვასა და სამუშაო ადგილას ღირსების დაცვის უფლებაზე;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ არაერთხელ ხაზგასმას თავის პრეცედენტულ სამართალში, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, დღესდღეობით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხოლო ტრადიციებზე, ზოგად ვარაუდებსა ან გავრცელებულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებზე მითითება არ კმარა სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად; ამასთან, სასამართლოსვე მითითებით, გენდერული სტერეოტიპები, როგორიცაა ქალის აღქმა ბავშვების ძირითად მომვლელად, კაცისა კი - ძირითად მარჩენალად, ვერ გაამართლებს განსხვავებულ მოპყრობას;

ითვალისწინებს რა მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის გაცემულ რეკომენდაციებს: CM/Rec(2007)13 განათლებაში გენდერის მეინსტრიმინგის შესახებ, CM/Rec(2007)17 გენდერული თანასწორობის სტანდარტებისა და მექანიზმების შესახებ, CM/Rec(2013)1 მედიაში გენდერული თანასწორობის შესახებ, და CM/Rec(2017)9 აუდიოვიზუალურ სექტორში გენდერული თანასწორობის შესახებ;

მიუთითებს რა სიძულვილის ენასთან ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის მე-15 რეკომენდაციაზე, რომელიც ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მიიღო 2015 წლის დეკემბერში და შეეხება სექსისტურ სიძულვილის ენას;

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს ბავშვის უფლებათა სტრატეგიას (2016-2021), რომელიც ხაზს უსვამს დისკრიმინაციასა და ძალადობასთან, განსაკუთრებით, სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის საჭიროებას, ასევე, გოგონებსა და ბიჭებს შორის თანასწორობის ხელშეწყობას - სტერეოტიპებზე, სექსიზმსა და ზედმეტ სექსუალიზაციაზე მუდმივი რეაგირებით, მით უმეტეს, მედიისა და განათლების სფეროში;

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების ინტერნეტმმართველობის სტრატეგიას და ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რომ მონიტორინგი გაეწიოს ყველას, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების დაცვას ისეთი ქმედებებისგან, როგორიცაა ინტერნეტში ძალადობა, კიბერადევნება, სექსიზმი და სექსუალური ძალადობის მუქარა;

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2119 (2016), 2144 (2017) და 2177 (2017) რეზოლუციებს, რომლებიც შეეხება „ბავშვთა სექსუალიზაციასთან ბრძოლას“, „კიბერდისკრიმინაციისა და ონლაინ სიძულვილის ენის აღმოფხვრას“ და „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და შევიწროების აღკვეთას საჯარო ადგილებში“;

ეყრდნობა რა ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებისა და დოკუმენტების საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე დანერგვის შედეგებს, მათ შორის, მიღწევებსა და გამოწვევებს;

ითვალისწინებს რა, რომ საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე გენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი სტანდარტების არსებობის მიუხედავად, კვლავ დიდი უფსკრულია სტანდარტებსა და პრაქტიკას, დე იურე და დე ფაქტო დისკრიმინაციას შორის;

აღიარებს რა, რომ სექსიზმის გამოვლინებათა გავრცელება მჭიდროდ უკავშირდება გენდერული თანასწორობის მიღწევის მუდმივ სირთულეებს, და სურს შებრძოლება სექსიზმთან, როგორც გენდერული უთანასწორობის ძირითად მიზეზსა და შედეგთან;

აღნიშნავს რა „სექსიზმის“ საერთაშორისოდ აღიარებული განმარტებისა და მასთან ბრძოლის სპეციალური სამართლებრივი ინსტრუმენტის არარსებობას;

ესწრაფვის რა, შექმნას სექსიზმისა და მისი გამოვლინებებისგნ თავისუფალი ევროპა;

წევრ სახელმწიფოებს მიმართავს შემდეგი რეკომენდაციებით:

1. მიიღონ სექსიზმსა და მის გამოვლინებებთან ბრძოლისა და პრევენციის ზომები კერძო და საჯარო სფეროებში; წაახალისონ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების განსახორციელებლად, ამ რეკომენდაციაში წარმოდგენილ განმარტებასა და სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით;
2. მონიტორინგი გაუწიონ წინამდებარე რეკომენდაციის შესრულებას; ევროპის საბჭოს შესაბამის მმართველ კომიტეტ(ებ)ს შეატყობინონ ამ სფეროში გატარებული ზომებისა და მიღწეული პროგრესის შესახებ;

3. ითარგმნოს წინამდებარე რეკომენდაცია, დანართის ჩათვლით, და გავრცელდეს (ხელმისაწვდომი ფორმატით) შესაბამის ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებში.

CM/Rec(2019)1 რეკომენდაციის დანართი

სექსიზმთან ბრძოლისა და მისი პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები: იმპლემენტაციის ღონისძიებები

განმარტება

წინამდებარე რეკომენდაციის მიზნებისთვის, სექსიზმი არის:

ნებისმიერი აქტი, ჟესტი, ვიზუალური გამოსახულება, ზეპირი ან წერილობითი განცხადება, პრაქტიკა ან ქცევა, რომლებიც ეფუძნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით, რაც ვლინდება საჯარო თუ კერძო სფეროში, ინტერნეტსივრცეში ან მის გარეთ, და მიზნად ისახავს ან იწვევს:

i. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის თანდაყოლილი ღირსებისა თუ უფლებების დარღვევას;
ii. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სოციალურ-ეკონომიკურ ზიანსა თუ ტანჯვას;
iii. დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი, ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას;
iv. ბარიერის შექმნას ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ავტონომიისა და მათ მიერ უფლებების სრულად რეალიზებისათვის;
v. გენდერული სტერეოტიპების შენარჩუნება-განმტკიცებას.[2]

კონტექსტი

სექსიზმთან, სექსისტურ ნორმებსა და ქცევასთან და სექსისტურ გამოხატვასთან ბრძოლა ნაგულისხმევია არაერთ საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტში. როგორც ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (CEST No. 210, სტამბოლის კონვენცია), ისე გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), აღიარებს კონტინუუმს გენდერულ სტერეოტიპებს, გენდერულ უთანასწორობას, სექსიზმსა და ქალებისა თუ გოგონების მიმართ ძალადობას შორის. ამრიგად, „ყოველდღიური“ სექსიზმის გამოვლინებები, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ან წვრილმანი მნიშვნელობის სექსისტური ქცევის, კომენტარების ან ხუმრობების ფორმით, განთავსებულია ამ კონტინუუმის ბოლოში. ამავდროულად, ეს გამოვლინებები ხშირად დამამცირებელია და ხელს უწყობს ისეთი სოციალური გარემოს შექმნას, სადაც ქალები დამცირებულად გრძნობენ თავს, თვითშეფასება უდაბლდებათ და საქმიანობა და არჩევანი ეზღუდებათ, მათ შორის, სამსახურში, პირად, საჯარო ან

[2] „გენდერული სტერეოტიპები არის წინასწარ შექმნილი სოციალური და კულტურული ტენდენციები და იდეები, რომელთა მიხედვითაც ქალებსა და კაცებს მიეწერებათ სქესით განსაზღვრული ნიშან-თვისებები და როლები. გენდერული სტერეოტიპიზაცია რეალური გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი ბარიერია და ხელს უწყობს გენდერულ დისკრიმინაციას. ასეთმა სტერეოტიპიზაციამ შეიძლება შეზღუდოს ბიჭებისა და გოგონების, ქალებისა და კაცების ბუნებრივი ნიჭისა და შესაძლებლობების განვითარება, ასევე, მათი საგანმანათლებლო და პროფესიული უპირატესობანი თუ გამოცდილებები და, ზოგადად, ცხოვრებისეული შესაძლებლობები“ (ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2018-2023 წწ., სტრატეგიული ამოცანა 1).

ინტერნეტსივრცეში. სექსისტურმა ქცევამ, როგორიცაა, მაგალითად, სექსისტური სიძულვილის ენა, შეიძლება გაამწვავოს ან წაახალისოს აშკარად შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი აქტები, მათ შორის, სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება ან პოტენციურად სასიკვდილო ქმედება. სხვა შედეგები შეიძლება მოიცავდეს რესურსების დაკარგვას, თვითდაზიანებას ან სუიციდს. ამრიგად, სექსიზმთან ბრძოლა სახელმწიფოთა იმ პოზიტიური ვალდებულებების ნაწილია, რომლებითაც გარანტირებულია ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის პრევენცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოებისთვის კი ეს ვალდებულებები განსაზღვრულია სტამბოლის კონვენციითაც.

სექსიზმი და სექსისტური ქცევა იწვევს ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს და განსხვავებული გავლენა აქვს მოსახლეობის სხვადასხვა სექტორზე. აღნიშნული ფენომენი ქალებისა და ბავშვების გაძლიერებისა და წინსვლის დამაბრკოლებელი ბარიერია; სექსიზმისა და სექსისტური ქცევის აღკვეთა სარგებელს მოუტანს ყველას: ქალებს, გოგონებს, კაცებსა და ბიჭებს.

იგი ვლინდება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, კიბერსივრცის ჩათვლით (ინტერნეტი და სოციალური მედია), და მისი განცდა შესაძლებელია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ, მაშინაც კი, როცა იგი არ არის პირდაპირი სამიზნე (მაგ.: სექსისტური რეკლამის შედეგად, ან სამუშაო ადგილზე შიშველი ქალების სურათების თვალსაჩინო ადგილას განთავსებით). არსებობს სექსიზმის შენარჩუნებისა და განცდის სამი დონე: ინდივიდუალური, ინსტიტუციური (მაგ.: ოჯახი, ასევე, სამუშაო ან საგანმანათლებლო გარემო) და სტრუქტურული (მაგ.: საზოგადოებრივი გენდერული უთანასწორობა, სოციალური ნორმები და ქცევა). სექსიზმს აქვს „გაჩუმების ეფექტი“, როდესაც ადამიანები ან ჯგუფები სექსისტური ქცევის შეტყობინებისგან თავს იკავებენ, იმის შიშით, რომ მათ სერიოზულად არ მიუდგებიან, გარიყავენ ან პასუხისმგებლობას აქეთ დააკისრებენ.

ინტერნეტმა ახალი განზომილება შესძინა სექსიზმის, განსაკუთრებით, სექსისტური სიძულვილის ენის გამოხატვას და გადაცემას ფართო აუდიტორიისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფესვები მოდის არა ტექნოლოგიიდან, არამედ მუდმივი გენდერული უთანასწორობიდან. ამასთან, ისეთმა სოციალურმა ფენომენმა, როგორიცაა #MeToo კამპანია, თავისი აქტივობებითა და პოლიტიკის ღონისძიებებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში (2017 წლიდან დღემდე), მათ შორის, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებშიც, ნათელი მოჰფინა ფაქტს, რომ სექსიზმი არსებობს ყველგან და მასთან ბრძოლა საჭიროებს უფრო ძლიერ ზომებს.

სექსიზმი და სექსისტური ქცევა ფესვგადგმულია გენდერულ სტერეოტიპებში და განამტკიცებს მათ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, „საზოგადოებაში გარკვეული ჯგუფის სტერეოტიპიზაციის პრობლემა ის არის, რომ იგი კრძალავს მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების ინდივიდუალიზებულ შეფასებას.“[3] გენდერული სტერეოტიპები ამყარებს

[3] Carvalho Pinto de Sousa Morais v. Portugal, განაცხადი No. 17484/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, § 46.

სოციალური ძალების უთანასწორო სტრუქტურებს და უარყოფითად მოქმედებს ქალებსა და კაცებს შორის რესურსების განაწილებაზე. ამას ადასტურებს წევრ სახელმწიფოებში მუდმივი სახელფასო და საპენსიო სხვაობა გენდერის ნიშნით. ამრიგად, გენდერული სტერეოტიპები არის ქალისა და კაცის „შესაფერისი“ როლების საზოგადოებრივი კონსტრუქციები, რასაც განსაზღვრავს კულტურული მიკერძოებები, ჩვეულებები, ტრადიციები და, არაერთ შემთხვევაში, რელიგიური რწმენისა და პრაქტიკის ინტერპრეტაციები. ქალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ან არ შეესაბამებიან „შესაფერის“ ადგილს საზოგადოებაში, სექსიზმსა და მიზოგინიას აწყდებიან, მასკულინობის დომინანტურ აღქმებთან დაპირისპირებული კაცები კი - სექსიზმს.

ურთიერთგადამკვეთი, სიტუაციური მოწყვლადობა და დამამძიმებელი გარემოებები

ქალები და კაცები ხშირად აწყდებიან სექსიზმის განსხვავებულ და ურთიერთგადამკვეთ ფორმებს, რომლებიც ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორს: ეთნიკური წარმომავლობა, უმცირესობის ან მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი, ასაკი, რელიგია, ლტოლვილის ან მიგრანტის სტატუსი, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური წარმომავლობა, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია ან სექსუალურობა. ისინი შესაძლოა უფრო მოწყვლად სიტუაციებში იმყოფებოდნენ, ან გახდნენ სექსიზმის სხვადასხვა გამოვლინების სამიზნეები განსხვავებულ გარემოში (მაგ.: ახალგაზრდა ქალები; ქალები ძირითადად კაცებისათვს განკუთვნილ გარემოში, როგორიცაა, ბიზნესი, ფინანსები, სამხედრო ძალები ან პოლიტიკა). ამასთან, ძალაუფლებით ან ავტორიტეტით მოსარგებლე ქალები, მათ შორის, საჯარო პირები, სექსიზმის განსაკუთრებული სამიზნეები არიან, რადგან მიიჩნევა, რომ ამ ადამიანებმა გადაუხვიეს საზოგადოებრივ გენდერულ ნორმებს, რომლებიც ქალებს გამორიცხავს საჯარო ან ძალაუფლების სფეროდან. ინტერსექსი ან ტრანსსექსუალი ადამიანები დამატებით და/ან უფრო მწვავე გამოწვევებსაც აწყდებიან სექსიზმთან დაკავშირებით.

ზოგიერთი გარემოება ამწვავებს სექსისტური ქცევის სიმძიმეს ან გავლენას, ანდა ზღუდავს მსხვერპლის რეაგირების შესაძლებლობას მასზე. გარემოებები ასეთი დამამძიმებელია მაშინ, როდესაც სექსისტური ქმედებები ან გამოთქმები ვლინდება იერარქიულ ან დამოკიდებულებით ურთიერთობებში, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილზე, საგანმანათლებლო ან სამედიცინო გარემოში, (საჯარო) სერვისების ფარგლებში, ან კომერციულ ურთიერთობებში. სექსიზმი განსაკუთრებით დამაზიანებელია, როდესაც მის ავტორს აქვს ძალაუფლება, ავტორიტეტი ან გავლენა (მაგ.: არის პოლიტიკოსი, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი (opinion maker), ან ბიზნესლიდერი). დამამძიმებელია ვითარება სექსისტურ სიტყვებსა ან ქმედებებზე ფართო წვდომის შემთხვევაშიც. აქ ასევე იგულისხმება გამოხატვის საშუალებები, სოციალური ან ტრადიციული მედიის გამოყენება და გამეორების ხარისხი.

I. სექსიზმზე რეაგირების ზოგადი ინსტრუმენტები და ღონისძიებები

სექსიზმთან ბრძოლისა და მისი პრევენციის ზომების ძირითადი მიზანია ქცევითი და კლუტურული გაცვლის სტიმულირება ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ დონეებზე.

სექსიზმთან ბრძოლისა და მისი პრევენციის ინსტრუმენტები შესაძლოა მოიცავდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ, საბიუჯეტო და მარეგულირებელ ინსტრუმენტებს, ასევე, გეგმებს, პოლიტიკასა და პროგრამებს. სახელმწიფოებმა უნდა აირჩიონ ის ინსტრუმენტები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება მათ კონტექსტსა და კონკრეტული ქმედების მიზნებს. განსხვავებული საშუალებები საჭიროა, ერთი მხრივ, გაუცნობიერებელ მიკერძოებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, განზრახ სექსისტურ ქცევაზე რეაგირებისათვის. გაუცნობიერებელ მიკერძოებაზე რეაგირება შესაძლებელია ცნობიერების ამაღლებით, ტრენინგებითა და განათლებით, ხოლო წინასწარგანზრახული და მუდმივი სექსისტური ქცევა და სიძულვილის ენა საჭიროებს უფრო ძლიერ ზომებს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა: კანონმდებლობა სექსიზმის წინააღმდეგ, განმარტებების ჩათვლით; მომხმარებლის სახელმძღვანელო; მსხვერპლთა დარღვეული უფლებების აღდგენისა და კომპენსაციის მოთხოვნის გზები; სექსისტურ ქმედებათა რისკები და შედეგები მოძალადეებისათვის.[4]

სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ და ეფექტიანად დანერგონ არსებული ინსტრუმენტები, ან შექმნან სექსისტური ქცევისგან დაცვისა თუ პრევენციის ახალი საშუალებები, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლონ დამნაშავეთა სამართლებრივი დევნა, დასჯა და მსხვერპლთა კომპენსაციის უზრუნველყოფა.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, წინამდებარე რეკომენდაციის შესასრულებლად, გაითვალისწინონ ქვემოთ წარმოდგენილი ღონისძიებები:

I.A. კანონმდებლობა და პოლიტიკა

I.A.1. საკანონმდებლო რეფორმის გატარება, რომელიც დაგმობს სექსიზმს, განმარტავს სექსისტურ სიძულვილის ენას და მოახდენს მის კრიმინალიზებას.

I.A.2. ურთიერთგადამკვეთი ფაქტორების, ქალთა შორის განსხვავებების, სიტუაციური მოწყვლადობისა და დამამძიმებელი გარემოებების აღიარება და გათვალისწინება სექსიზმთან ბრძოლის კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებისას.

I.A.3. კომპლექსური საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება და ინვესტირება, რომელიც შეასრულებს ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის პლატფორმის ფუნქციას; პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავება სექსიზმისა და გენდერული დისკრიმინაციის სტერეოტიპთა აღსაკვეთად, კონკრეტული

[4] For example, „Anti-Sexisme – Mode d'emploi", Institut pour l'égalité de femmes et des hommes, ბელგია, ხელმისაწვდომია ფრანგულ ენაზე: http://igvm-iefh.belgium.be/sites/default/files/downloads/79%20-%20Anti-sexisme%20mode%20emploi_FR.pdf.

ამოცანებით, ნიშნულებით, ვადებით, პროგრესისა და შედეგის ინდიკატორებით; მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის შემუშავება გადადგმული ნაბიჯების გავლენათა შესაფასებლად.

I.A.4. სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, რელიგიური და სათემო ლიდერების, ადვოკატთა და მოსამართლეთა პროფესიული უწყებებისა და პროფკავშირების მონაწილეობის წახალისება პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებაში, რომელიც მიზნად ისახავს სექსიზმთან ბრძოლას. ეს უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას აღნიშნული ზომების გატარებაში.

I.A.5 სექსიზმთან ბრძოლის კუთხით აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აღიარება, წახალისება და მხარდაჭერა ყველა სფეროში და დონეზე (განსაკუთრებით, მე-3 სექციაში წარმოდგენილ სფეროებში); ეფექტიანი თანამშრომლობა მათთან.

I.A.6. შესაბამისი საჯარო ორგანოებისა და სერვისების (მაგ.: ომბუდსმენები, თანასწორობის კომისიები, საკანონმდებლო ასამბლეები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, საჯარო დაწესებულებები და საჩივრის განმხილველი ორგანოები) წახალისება, რომ სექსიზმის აღკვეთის კომპლექსური პოლიტიკის შესაბამისად, შეიმუშაონ და დანერგონ ქცევის კოდექსი ან სახელმძღვანელო პრინციპები სექსიზმის შესახებ და ამ აქტივობებისათვის უზრუნველყონ სათანადო რესურსები.

I.A.7. თანასწორობის ორგანოს ან სხვა ოფიციალური დაწესებულების განსაზღვრა, რომელსაც დაევალება სექსიზმის აღკვეთის პოლიტიკისა და ღონისძიებების მონიტორინგი და შეფასება საჯარო თუ კერძო სფეროში. ასეთ ორგანოს უნდა ჰქონდეს საჭირო ავტორიტეტი და რესურსები შესაბამისი ფუნქციების შესასრულებლად.

I.A.8 დაცვის სათანადო საშუალებების უზრუნველყოფა სექსისტური ქცევის მსხვერპლთათვის.

I.A.9. პროგრამების დანერგვა მათთვის, ვინც მუშაობს გენდერთან დაკავშირებული და სექსუალური დანაშაულების მსხვერპლსა თუ მოძალადეებთან.

I.A.10. საჯარო ორგანოებისა ან სხვა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ დაგმობენ სექსიზმსა და სექსისტურ ქცევას, განსაკუთრებით, სექსისტურ სიძულვილის ენას, არასისხლისსამართლებრივი სანქციის დაწესება (მაგ.: ფინანსური და სხვა ფორმის მხარდაჭერის გაუქმება).

I.B. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები

I.B.1. იმ საჯარო პირების, განსაკუთრებით, პოლიტიკოსების, რელიგიური, ეკონომიკური თუ სათემო ლიდერებისა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელების სწრაფი საჯარო რეაქციის ხელშეწყობა, რომლებიც გმობენ სექსიზმსა და სექსისტურ ქცევას და განამტკიცებენ გენდერული თანასწორობის ღირებულებებს.

I.B.2. წევრ სახელმწიფოთა შორის ისეთი თანამშრომლობითი კვლევების ინიცირება, მხარდაჭერა და დაფინანსება, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემატურ, ასევე, სქესისა და ასაკის მიხედვით დახარისხებულ მონაცემებს სექსიზმის გამოვლინებათა გავრცელებასა თუ უარყოფით გავლენაზე (მაგ.: სექსიზმი და სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილას, სექსისტური სიძულვილის ენა, სამიზნეები, მოძალადეები, გამოხატვის საშუალებები, მედიასაშუალებებისა და საზოგადოების რეაგირება). ეს მონაცემები რეგულარულად უნდა გავრცელდეს შესაბამის საჯარო ორგანოებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებაში.

I.B.3. რესურსების გამოყოფა ეფექტიანი საკომუნიკაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების დასაფინანსებლად, რომლებიც შეეხება კავშირს სექსიზმსა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობას შორის; მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაციების დაფინანსება.

I.B.4. ცნობიერების ამაღლების რეგულარული ინიციატივების შემუშავება, განხორციელება და ხელშეწყობა ყველა დონეზე, მედიის სხვადასხვა საშუალებით (მაგ.: სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების, ინტერნეტსა და ფართოდ გავრცელებულ მედიაში ხელმისაწვდომი ვიდეოების მომზადება; სექსიზმთან ბრძოლის ეროვნული დღის შემოღება, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების მუზეუმების მოწყობა). ეს ინიციატივები მიზნად უნდა ისახავდეს სექსიზმის სხვადასხვა ფორმაზე ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გაზრდას ზოგად მოსახლეობაში, განსაკუთრებით, მშობლებში. აქ მოიაზრება „მენსპლეინინგის“[5] ფენომენიც, ასევე, ამ ფორმების პრევენცია და მათზე რეაგირების გზები, და ზიანი, რომელსაც ისინი აყენებენ ცალკეულ ადამიანებსა და საზოგადოებას, მათ შორის, გოგონებსა და ბავშვებს.

I.B.5. კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული, უწყვეტი განათლება და ტრენინგები განმანათლებლებისთვის ყველა სფეროში და ყველა დონეზე, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ასევე, ადამიანური რესურსების პერსონალისთვის საჯარო და კერძო სექტორებსა თუ პროფესიული მომზადების დაწესებულებებში (მაგ.: მედია, შეიარაღებული ძალები, სამედიცინო და იურიდიულ სფეროში მომუშავე სპეციალისტები, ბუღალტერიის, მენეჯმენტისა და ბიზნესის სკოლები). ეს ტრენინგები უნდა მოიცავდეს გენდერული თანასწორობისა და სტერეოტიპების მნიშვნელობას, სექსიზმის, წინასწარგანწყობებისა და მიკერძოებების იდენტიფიცირებას, მათზე რეაგირებასა და სტერეოტიპებთან ბრძოლას.

I.B.6. სხვადასხვა ასაკის ჯგუფებისთვის/ჯგუფების მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოების, ტრენინგის მასალებისა და სწავლების მეთოდების შეფასება ყველა ფორმის განათლებასა და სწავლებაში (სკოლამდელი ეტაპით დაწყებული), რათა გამოვლინდეს სექსისტური ენა, ილუსტრაციები და

[5] „მენსპლეინინგი“ (ზმნა, არაფორმალური): (კაცის მიერ) ქალისთვის რაიმეს განმარტება ქედმაღლური, ამპარტავნული, ზედმეტად თავდაჯერებული და გამარტივებული ფორმით, ან იმ ვარაუდით, რომ თანამოსაუბრე თემის შესახებ არ ფლობს რაიმე ცოდნას.

გენდერული სტერეოტიპები; მათი გადასინჯვა გენდერული თანასწორობის[6] აქტიურად ხელშეწყობისათვის.

I.B.7. სექსიზმთან ბრძოლის მიზნით, გენდერული თანასწორობის პერსპექტივისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა კომიქსების, წიგნების, ტელევიზიის, ვიდეო და სხვა თამაშების შინაარსში, ენასა და ილუსტრაციებში, ონლაინ კონტენტსა და ფილმებში, მათ შორის, პორნოგრაფიაში, რომელიც განსაზღვრავს გოგონებისა და ბიჭების დამოკიდებულებებს, ქცევასა და იდენტობას.

I.B.8. ცნობიერების ასამაღლებელი რეგულარული კამპანიების ხელშეწყობა და ჩატარება ქალურობისა და მამაკაცურობის კონსტრუქციებზე, ასევე იმაზე, თუ რას ნიშნავს იყო ქალი/გოგონა და კაცი/ბიჭი თანამედროვე საზოგადოებაში (მაგ.: მედიასაშუალებების, თავისუფალი საჯარო ლექციებისა და დისკუსიების საშუალებით).

I.B.9. სპეციალისტებსა (მაგ.: ჟურნალისტები, განმანათლებლები, სამართალდამცველი უწყებები) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის წახალისება, სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და განსაზღვრისათვის.

I.B.10. ხელმისაწვდომი სტრუქტურების შექმნა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის, რათა უზრუნველყოფილნი იყვნენ ექსპერტული რჩევით სექსიზმის პრევენციის, სექსიზმთან ბრძოლისა და მასზე რეაგირების შესახებ.

II. სექსიზმსა და სექსისტურ ქცევაზე რეაგირების კონკრეტული ინსტრუმენტები და ღონისძიებები მაღალი რისკის სფეროებში

ზოგიერთი საქმიანობა განსაკუთრებით მიდრეკილია სექსიზმის გამოვლინებებისა და/ან სექსისტური ქცევის სპეციფიკური ფორმების მიმართ; შესაბამისად, ამ სფეროებში სექსიზმთან ბრძოლისა და მისი პრევენციისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია მიზანმიმართული ქმედებების განხორციელება, პირველ ნაწილში რეკომენდებულ ზოგად ღონისძიებებსა და ინსტრუმენტებთან ერთად.

II.A. ენა და კომუნიკაციები

ენა და კომუნიკაციები გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი კომპონენტია და „არ უნდა უწყობდეს ხელს მასკულინური მოდელის ჰეგემონიას.“[7] არასტერეოტიპული კომუნიკაცია განათლების, ცნობიერების ამაღლებისა და სექსისტური ქცევის პრევენციის ეფექტიანი გზაა და მოიცავს შემდეგ საკითხებს: სექსისტური გამონათქვამების აღმოფხვრა; ფემინური და მასკულინური ან გენდერულად ნეიტრალური ფორმების გამოყენება წოდებასთან მიმართებით, ან ჯგუფისადმი მიმართვისას; ქალებისა და კაცების წარმომადგენლობის

[6] CEDAW-ს 10(გ) მუხლი მოითხოვს „კაცისა და ქალის როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრას... კერძოდ, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვით, ასევე, სწავლების მეთოდების ადაპტაცით.“

[7] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)3 პოლიტიკასა და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ, განმარტებითი ბარათი.

გამრავალფეროვნება და ქალისა და კაცის თანასწორობა, როგორც ვიზუალურ, ისე სხვა გამოსახულებებში.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.A.1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის გაცემული შესაბამისი რეკომენდაციების ხელახლა დადასტურება და შესრულება, მათ შორის, როგორიცაა No R(90)4 ენიდან სექსიზმის აღმოფხვრის შესახებ და CM/Rec(2007)17 გენდერული თანასწორობის სტანდარტებისა და მექანიზმების შესახებ, რომლებიც ხაზს უსვამს, რომ „წევრი სახელმწიფოების ქმედებები უნდა მიემართებოდეს არასექსისტური ენის გამოყენების ხელშეწყობას ყველა სექტორში, განსაკუთრებით, საჯარო სფეროში.“

II.A.2. ყველა კანონის, რეგულაციის, პოლიტიკისა და ა.შ. სისტემატური გადახედვა სექსისტური ენის, გენდერული ვარაუდებისა და სტერეოტიპების გამოსავლენად, რათა ისინი ჩანაცვლდეს გენდერულად სენსიტიური ტერმინოლოგიით. კარგი პრაქტიკა მოიცავს ისეთი ენისა და კომუნიკაციის პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადებას, რომელიც არ არის სექსისტური და არ შეიცავს გენდერულ სტერეოტიპებს, საჯარო ადმინისტრირების დოკუმენტებში გამოსაყენებლად.

II.B. ინტერნეტი, სოციალური მედია და სექსისტური სიძულვილის ენა ინტერნეტსივრცეში

ონლაინ სექსიზმი ევროპაში ფართოდ არის გავრცელებული და არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ქალებსა და გოგონებზე, ქალ ჟურნალისტებზე, პოლიტიკოსებზე, საჯარო ფიგურებსა და ქალთა უფლებების დამცველებზე. ონლაინ სექსიზმის ერთ-ერთი ასპექტია უარყოფითი კომენტარების დატოვება გამოხატულ შეხედულებებსა და მოსაზრებებზე. კაცებზე თავდასხმა, როგორც წესი, ეფუძნება მათ პროფესიულ მოსაზრებებსა და კომპეტენციებს, ხოლო ქალები, ჩვეულებრივ, სექსისტური და სექსუალიზებულ შეურაცხყოფის სამიზნეები ხდებიან, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ინტერნეტისთვის დამახასიათებელი ანონიმურობა. ონლაინ თავდასხმები გავლენას ახდენს ქალის არა მხოლოდ ღირსებაზე, არამედ მოსაზრების გამოხატვაზეც, მათ შორის, სამუშაო ადგილას; იგი განაპირობებს ქალების გარიყვას ონლაინ სივრციდან, აზიანებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, ზღუდავს პროფესიულ შესაძლებლობებს და ამყარებს გენდერული დემოკრატიის დეფიციტს.
კიდევ ერთი ასპექტი ის არის, რომ ციფრულ ეპოქაში უფრო მეტად აკვირდებიან ქალის სხეულს, გამოხატვასა და აქტივიზმს. ამასთან, სოციალური მედიის ბოროტად გამოყენება სექსისტური მიზნებით (მაგ.: ინტიმური ვიზუალური მასალის გამოქვეყნება მასზე გამოსახული პირის ნებართვის გარეშე), ძალადობის ფორმაა, რომელიც რეაგირებას მოითხოვს.

ინტერნეტი და სოციალური მედია გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საშუალებაა, თუმცა, ის მოძალადეებსაც აძლევს შეურაცხმყოფელი აზრების გამოხატვისა და შეურაცხმყოფელად მოქცევის საშუალებას. აღიარებულია, რომ რასისტული სიძულვილის ენა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს. სექსისტური ან მიზოგინიური სიძულვილის ენის

შემთხვევაში, ყოველთვის ასე არ არის, ხოლო არსებული პოლიტიკა და კანონმდებლობა ყველა დონეზე ამ საკითხს სათანადოდ ვერ უმკლავდება. შესაბამისად, რეკომენდებულია, წევრმა სახელმწიფოებმა აიღონ სიძულვილის ენასთან ბრძოლის პასუხისმგებლობა და სექსისტურ ენაზე გაავრცელონ იგივე წესები, რომლებიც შემუშავებულია რასისტული სიძულვილის მიმართ, სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენების კუთხით.

ამასთან, ხელოვნური ინტელექტი გარკვეულ გამოწვევებს ქმნის გენდერულ თანასწორობასა და სტერეოტიპებთან დაკავშირებით. ალგორითმების გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს არსებული გენდერული სტერეოტიპების გადაცემასა და განმტკიცებას და, ამგვარად, სექსიზმის შენარჩუნებას.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.B.1. ისეთი საკანონმდებლო ზომების გატარება, რომლებიც განსაზღვრავს სექსისტურ სიძულვილის ენას, ახდენს მის კრიმინალიზებას და ვრცელდება ყველა მედიასაშუალებაზე; შეტყობინების პროცედურებისა და სათანადო სანქციების დაწესება; ყველა მედიასაშუალებასთან, მათ შორის, ინტერნეტმედიასა და ახალ მედიასაშუალებებთან მიმართებით, წახალისდეს სექსისტური სიძულვილის ენის უფრო პროაქტიული გამოვლენა და შეტყობინების პროცედურები.

II.B.2. პროგრამების შექმნა და ხელშეწყობა (კომპიუტერული პროგრამების ჩათვლით) ბავშვების, ახალგაზრდების, მშობლებისა და განმანათლებლებისთვის. ეს მათ დაეხმარება, რომ ბავშვებს მისცენ რჩევები მედიაწიგნიერების შესახებ, ციფრული მედიის უსაფრთხო და კრიტიკული მოხმარებისათვის, ასევე, სათანადო ციფრული ქცევის გამოსამუშავებლად. აღნიშნული უნდა განხორციელდეს სკოლის კურიკულუმის საშუალებით და სახელმძღვანელოებისა და ფაქტობრივი მონაცემების შემცველი დოკუმენტების მომზადებით, თუ რას გულისხმობს სექსისტური ქცევა, ინტერნეტში მასალის არასასურველი გაზიარება და სათანადო რეაგირება, მათ შორის, გენდერულად სენსიტიური ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში უსაფრთხოების შესახებ. ასეთი მასალები ფართოდ უნდა გავრცელდეს.

II.B.3. ინფორმაციისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების მომზადება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სოციალური მედიის ბოროტად გამოყენება სექსისტური მიზნებით, ინტერნეტგარემოში მუქარა, და სიტუაციები, რომლებსაც აწყდებიან ბავშვები და ახალგაზრდები (მაგ.: შანტაჟი, ფულის თხოვნა ან ინტიმური სურათების გამოქვეყნება). ეს უნდა მოხდეს მსგავსი სიტუაციების პრევენციასა და მათზე რეაგირების პრაქტიკულ დახმარებასთან ერთად.

II.B.4. ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი კამპანიების ჩატარება ახალი მედიის გამოყენების საფრთხეებზე, შესაძლებლობებზე, უფლებებსა და მოვალეობებზე.

II.B.5. ონლაინ რესურსების შექმნა ექსპერტული რჩევებისათვის ინტერნეტში სექსიზმზე რეაგირების შესახებ, მათ შორის, სწრაფად შეტყობინების/საზიანო ან არასასურველი მასალის სწრაფად წაშლის პროცედურებზე.

II.B.6. რეგულარული კვლევების ჩატარება და სქესისა და ასაკის მიხედვით დახარისხებული მონაცემების შეგროვება კიბერსექსიზმსა და კიბერძალადობაზე, ასევე, შედეგების საჭიროებისამებრ გაზიარება.

II.B.7. გენდერული თანასწორობის პერსპექტივის ჩართვა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ ყველა პოლიტიკაში, პროგრამასა და კვლევაში, რათა თავიდან აიცლონ იმ ტექნოლოგიის პოტენციური რისკები, რომელიც ხელს უწყობს სექსიზმისა და გენდერული სტერეოტიპების არსებობას; ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, გენდერული ნაპრალის შევსებისა და სექსიზმის აღკვეთის შესწავლა. ეს მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც გაზრდის ქალებისა და გოგონების მონაწილეობას საინფორმაციო და ტექნოლოგიურ მიმართულებებში, სტუდენტების, სპეციალისტებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების სახით. მონაცემებზე დაფუძნებული ინსტრუმენტებისა და ალგორითმების დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს გენდერზე დაფუძნებულ დინამიკას. გაუმჯობესდეს ამ საკითხების გამჭვირვალობა და გაიზარდოს ცნობიერება პოტენციურ გენდერულ მიკერძოებაზე „დიდ მონაცემებში“; ასევე საჭიროა შესაძლებლობების შექმნა ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად.

II.C. მედია, სარეკლამო ინდუსტრია და კომუნიკაციის სხვა პროდუქტები და სერვისები

სექსიზმი მედიაში (ელექტრონულ, ბეჭდურ, ვიზუალურ და აუდიომედიაში) ხელს უწყობს გარემოს, სადაც დაშვებული და დამკვიდრებულია „ყოველდღიური“ სექსიზმი. მისი გამოვლინებებია:

- ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების სექსუალური, სექსუალიზებული და რასობრივი აღწერა და ობიექტივიზაცია, მათ შორის, რეკლამებში, ფილმებში, ტელევიზიაში, ვიდეოთამაშებსა და პორნოგრაფიულ მასალაში;
- ქალის გარეგნობის, სამოსისა და ქცევის დამამცირებელი და დამაკნინებელი გაშუქება, ნაცვლად დაბალანსებული და ინფორმირებული დისკუსიისა მათ შეხედულებებსა და მოსაზრებებზე;
- ქალებისა და კაცების გაშუქება და გამოსახვა ოჯახსა და საზოგადოებაში სტერეოტიპული როლების ჭრილში;
- გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოება და შენარჩუნება გენდერით მოტივირებული ძალადობის მსხვერპლთან მიმართებით;
- ქალების - განსაკუთრებით, უმცირესობათა ჯგუფებიდან - უთანასწორო წარმომადგენლობა და არსებითი მონაწილეობის ნაკლებობა სხვადასხვა პროფესიულ და ინფორმატიულ როლში (ექსპერტები, კომენტატორები).[8]

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

[8] იხ. ევროპის საბჭოს კონფერენციის „მედია და ქალთა სახეები“ (ამსტერდამი, 2013 წლის 4-5 ივლისი) მიგნებები და რეკომენდაციები. სრული ანგარიში ხელმისაწვდომია მისამართზე: https://rm.coe.int/1680590fb8.

II.C.1. კანონმდებლობის დანერგვა, რომელიც კრძალავს სექსიზმს მედიასა და სარეკლამო ინდუსტრიაში; ასეთი ღონისძიებების მონიტორინგისა და გატარების ხელშეწყობა.

II.C.2. ცილისწამების კანონმდებლობაში სექსიზმის გამოვლინებათა ჩართვა.

II.C.3. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის, მედიისა და სარეკლამო სექტორების მოწოდება და მხარდაჭერა, რომ ჩაერთონ თითოეულ სექტორში თვითრეგულირების პოლიტიკის, ასევე, სექსიზმის (მათ შორის, სექსისტური სიძულვილის ენის) აღკვეთის მექანიზმთა შემუშავებაში, მიღებასა და განხორციელებაში.

II.C.4. მედიის მონიტორინგისა და სარეკლამო ორგანიზაციების ხელშეწყობა სექსიზმზე რეაგირებაში.

II.C.5. ისეთი ინსტიტუტის შექმნა, რომელსაც ექნება მედიასა და სარეკლამო ინდუსტრიაში სექსიზმთან დაკავშირებული საჩივრების მიღების, გაანალიზებისა და განხილვის კომპეტენცია, ასევე, უფლებამოსილება, მოითხოვოს სექსისტური კონტენტისა თუ რეკლამის ამოღება ან შეცვლა.

II.C.6. შესაბამისი ორგანოების (მაგ.: გენდერული თანასწორობის კომისიები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები) წახალისება, რათა დანერგონ საგანმანათლებლო და ტრენინგის სტრატეგიები და ინსტრუმენტები ჟურნალისტების, ასევე, მედიისა და კომუნიკაციის სფეროში მომუშავე სხვა სპეციალისტებისთვის შემდეგ საკითხებზე: სექსიზმის იდენტიფიცირება; მედიასა და სარეკლამო ინდუსტრიაში ქალებისა და კაცების დადებითად და არასტერეოტიპულად წარმოჩენა; და გენდერულად სენსიტიური კომუნიკაციის ხელშეწყობა. ამ დამატებითი აქტივობებისათვის უნდა არსებობდეს ადეკვატური რესურსები.

II.C.7. კვლევის მხარდაჭერა მედიასა და პორნოგრაფიულ მასალებში ქალებისა და გოგონების სექსისტურად წარმოჩენასა და მის გავლენებზე - რამდენად ამწვავებს ეს გენდერულ უთანასწორობასა და ქალებისა თუ გოგონების მიმართ ძალადობას, ასევე, როგორ მოქმედებს ქალის ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე. რესურსების გამოყოფა ცნობიერების ასამაღლებელი და ეფექტიანი კომუნიკაციის კამპანიების დასაფინანსებლად კავშირებზე სექსიზმს, გენდერული თანასწორობის ნაკლებობასა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობას შორის; მედიასა და სარეკლამო ინდუსტრიაში ქალებისა და კაცების დადებითად და არასტერეოტიპულად წარმოჩენის ხელშეწყობა.

II.C.8. ქალებისა და კაცების თანასწორი მონაწილეობის წახალისება მედიაში, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და შინაარსობრივი კუთხით; ქალი ექსპერტების მონაცემთა ბაზის შექმნა ყველა თემაზე.

II.C.9. პოზიტიური ზომების მიღება დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობის ხელშეწყობაში წარმატებისა და ლიდერობისათვის (მაგ.: ქულებზე დაფუძნებული სისტემის შემოღება, რომლითაც დამატებითი ფინანსური სახსრები გამოიყოფა მედიასაშუალებებისთვის გენდერულად სენსიტიური კონტენტის შესაქმნელად).

II.C.10. ქალების, როგორც სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეების, და კაცების, როგორც, მაგალითად, მზრუნველების, დადებითად წარმოჩენა არატრადიციულ როლებში. კარგი პრაქტიკის წახალისება და დაჯილდოება (მაგ.: სახელმწიფო დაფინანსების გზით).

II.C.11. დიალოგის საშუალებით კარგი პრაქტიკის, ასევე, მედიაინდუსტრიაში დაინტერესებულ მხარეთა შორის კონტაქტებისა და პარტნიორობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა, რათა გაღრმავდეს სექსიზმსა და გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა მედიაში.

II.C.12. იმ პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც ხორციელდება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ქალთა მიმართ, დისკრიმინაციის მრავლობით და ურთიერთგადამკვეთ ფორმებზე რეაგირებისათვის. მედიასაშუალებების წახალისება, რათა ხელი შეუწყონ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და/ან მიგრანტი ქალების დადებითად წარმოჩენას.

II.D. სამუშაო ადგილი

სამუშაო ადგილზე სექსიზმს აქვს სხვადასხვა ფორმა. იგი არსებობს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და გამოიხატება სექსისტური კომენტარებითა და ქცევით, რომლებიც მიმართულია დასაქმებულის ან დასაქმებულთა ჯგუფის წინააღმდეგ. სამუშაო ადგილზე სექსიზმი მოიცავს შემდეგ გამოვლინებებსაც: დამამცირებელი კომენტარები, ობიექტივიზაცია, სექსისტური იუმორი ან ხუმრობები, ზედმეტად ფამილარული გამონათქვამები, ადამიანების გაჩუმება ან უგულებელყოფა, არასასურველი კომენტარები ტანსაცმლისა და გარეგნობის შესახებ, სექსისტური სხეულის ენა, პატივისცემის ნაკლებობა, მასკულინური პრაქტიკა, რომელიც იწვევს ქალების დაშინებასა და გამორიცხვას, ან კაცებისათვის უპირატესობის მინიჭებას.[9] ეს ყოველივე არღვევს თანასწორობასა და ღირსებას სამუშაო ადგილას.[10]

ტრადიციულ გენდერულ როლებზე დაფუძნებულმა სექსისტურმა ვარაუდებმა შესაძლოა წარმოშვას მოსაზრება, რომ ქალები, როგორც დედები ან მომავალი დედები თუ მზრუნველები, ნაკლებად სანდო კოლეგები და თანამშრომლები არიან. ამავდროულად, შეიძლება არსებობდეს მტრული დამოკიდებულება იმ დედებისადმი, რომლებიც შინ არ რჩებიან, ან ისინი გამოირიცხონ კარიერული წინსვლის და, შედეგად, პროფესიული ცხოვრების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებიდან. ეს ხელს უწყობს „მინის ჭერის“ არსებობას, რომელიც ზღუდავს ქალთა დაწინაურების შესაძლებლობებს. ამგვარმა ვარაუდებმა სექსისტური გამონათქვამები შეიძლება წარმოშვას იმ კაცების მიმართაც, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს ზრუნვის პასუხისმგებლობა.

ზოგიერთ სამუშაო ადგილზე განსაკუთრებულად დომინირებენ კაცები. ასეთ შემთხვევაში სექსისტური კულტურის წახალისების მაღალი რისკი არსებობს.

---

[9] Higher Council for professional equality between men and women (2016), „Kit to act against sexism – Three tools for the world of work“, ხელმისაწვდომია მისამართზე: https://rm.coe.int/16806fbc1e

[10] ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) 26(2) მუხლის თანახმად, მხარეებს მოეთხოვებათ, „ხელი შეუწყონ გათვითცნობიერებას, ინფორმირებას და სამუშაო ადგილებზე ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებით განმეორებადი გასაკიცხი ან აშკარად უარყოფითი და შეურაცხმყოფელი ქმედებების თავიდან აცილებას, რომლებიც მიმართულია თითოეული მუშაკის წინააღმდეგ, და მიიღონ ყველა სათანადო ზომა ამგვარი ქმედებებისგან მუშაკთა დასაცავად.“

ამასთან, იმ ქალების მიმართ, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებს იკავებენ ან, არსებული მოსაზრებით, კაცებით დომინირებულ ინსტიტუციურ იერარქიას უპირისპირდებიან, მომეტებულად ვლინდება სექსიზმი. მსგავსად, შესაძლოა კაციც განიცდიდეს სექსიზმს ქალების მიერ დომინირებულ ან ტიპურად „ქალებისათვის განკუთვნილ“ სამუშაო ადგილას.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.D.1. შრომის კანონმდებლობის გადახედვა, რათა აიკრძალოს სექსიზმი და სექსისტური ქმედებები სამუშაო ადგილას და წახალისდეს ისეთი კარგი პრაქტიკა, როგორიცაა, მაგალითად, რისკის ანალიზი, რისკის შემცირებისა და მართვის ზომები, გასაჩივრების მექანიზმები, დაცვის საშუალებები მსხვერპლთათვის და დისციპლინური სანქციები სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის პროცესების საშუალებით.

II.D.2. წესების, პოლიტიკისა და რეგულაციების სისტემატური გადახედვის წახალისება და მხარდაჭერა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში მოქმედ დაწესებულებებში, რათა შემუშავდეს ქცევის სათანადო კოდექსები, რომლებიც აერთიანებს გასაჩივრების მექანიზმებსა და დისციპლინურ ზომებს სექსიზმსა და სექსისტურ ქმედებებთან მიმართებით. ეს უნდა მოიცავდეს სექსიზმის ურთიერთგადამკვეთ ფორმებსაც (მაგ.: მიგრანტის სტატუსსა ან შეზღუდულ შესაძლებლობასთან მიმართებით).

II.D.3. დამოუკიდებელი პროფესიების, პროფესიული ორგანიზაციებისა და პროფკავშირების ხელშეწყობა, რათა მათ მხარი დაუჭირონ სექსიზმთან ბრძოლას თავიანთ დაწესებულებებში, მათ შორის, შინაგანწესში.

II.D.4. ისეთი საშუალებების შემუშავება და ფართო ხელმისაწვდომობა, როგორიცაა: სექსიზმთან ბრძოლის ინსტრუმენტები, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო დებულებები და სექსიზმის აღკვეთის ინსტიტუციური სარგებლის განმარტებები; ასევე, სექსისტური ქმედებებისა და სექსიზმის აღკვეთის კარგი პრაქტიკის მაგალითები. მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულებსა და მენეჯერებს, პროფკავშირის წარმომადგენლებსა და სხვა შესაბამის პროფესიონალებს მუდმივად შეახსენონ სამუშაო ადგილზე სექსიზმის აღკვეთის მოვალეობა და მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებები.

II.D.5. უმაღლეს დონეზე (საჯარო თუ კერძო სექტორში) მოწოდება იმ ვალდებულების აღებისკენ, რომელიც გულისხმობს სექსიზმის უარმყოფი ინსტიტუციური კულტურის ხელშეწყობას სამუშაო ადგილზე (მაგ.: თანასწორობის პოლიტიკის, შიდა სახელმძღვანელო პრინციპებისა და კამპანიების შემუშავება სექსიზმის სხვადასხვა ფორმასა და სტერეოტიპთა დეკონსტრუქციაზე), გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე წარმოდგენილ ქალთა რაოდენობის გაზრდას და „მინის ჭერის“ განადგურებას, მათ შორის, დროებითი სპეციალური ღონისძიებების გამოყენებით (მაგ.: სამიზნე ნიშნულები და კვოტები).

II.D.6. უმაღლეს დონეზე (საჯარო და კერძო სექტორში) მოწოდება იმ ვალდებულების აღებისკენ, რომელიც გულისხმობს ცნობიერებისა და

ინფორმირებულობის ამაღლებას სექსისტურ ქცევაზე და ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმას დასაქმებულთა დასაცავად მისგან.

II.E. საჯარო სექტორი

საჯარო სექტორში სექსიზმმა და გენდერულ სტერეოტიპებზე დაყრდნობამ შეიძლება გამოიწვიოს უარი საჯარო სერვისების მიწოდებასა და რესურსების თანაბარ წვდომაზე. ამავდროულად, ქალები, რომლებიც მუშაობენ საჯარო სექტორში, მათ შორის, არჩევით თანამდებობებზე ან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში (ყველა დონეზე), სექსიზმის და სექსისტური ქცევის გამო ხშირად აწყდებიან გამოწვევებს ღირსებასთან, ლეგიტიმურობასა თუ ავტორიტეტთან დაკავშირებით.[11]

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.E.1. სექსიზმის, ასევე, სექსისტური ქცევისა და ენის საწინააღმდეგო დებულებების ჩართვა ქცევის კოდექსებსა და შიდა რეგულაციებში, სათანადო სანქციებთან ერთად, საჯარო სექტორსა და არჩევით ასამბლეებში მომუშავე პირებისათვის.

II.E.2. საჯარო სფეროში სექსიზმის საწინააღმდეგო ინიციატივებისა და მოკვლევების მხარდაჭერა პარლამენტარების, სამოქალაქო ორგანიზაციების, პროფკავშირების ან აქტივისტების მიერ.

II.E.3. შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოში გენდერული თანასწორობის დებულებათა ჩართვის ხელშეწყობა, საჯარო ტენდერის/შესყიდვის კარგი პრაქტიკის სახით.

II.E.4. საჯარო სექტორის თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩატარება არასექსისტური ქცევის მნიშვნელობაზე საზოგადოებასა და კოლეგებთან მუშაობისას. ტრენინგი უნდა ითვალისწინებდეს სექსიზმის განმარტებასა და სხვადასხვა გამოვლინებას, გენდერული სტერეოტიპებისა თუ მიკერძოებების დეკონსტრუქციის საშუალებებს და მათზე რეაგირების გზებს.

II.E.5. საჯარო სერვისების მიმღებთა ინფორმირება მათ უფლებებზე არასექსისტურ ქცევასთან მიმართებით (მაგ.: ისეთი გზებით, როგორიცაა

[11] მაგ.: პარლამენტთაშორისი კავშირისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ ქალ პარლამენტართა 85%-მა განიცადა ფსიქოლოგიური ძალადობა პარლამენტში; 40 წლამდე ასაკის ქალი პარლამენტარები სხვებზე მეტად აწყდებიან შევიწროებას; პარლამენტის აპარატის ქალი თანამშრომლები უფრო მეტად განიცდიან სექსუალურ ძალადობას, ვიდრე ქალი პარლამენტარები, პარლამენტართა უმრავლესობას კი არ ჰქონდა მექანიზმი, რომელიც ქალებს საკუთარი მოსაზრების გამოხატვის საშუალებას მისცემდა. პარლამენტთაშორისი კავშირი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (2018), „სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა ევროპაში ქალ პარლამენტართა მიმართ“, ხელმისაწვდომია მისამართზე: www.ipu.org/resources/publications/reports/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe.

ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები და შეტყობინების სპეციფიკური სქემები შესაძლო პრობლემათა გამოვლენისა და გადაჭრისათვის).

II.E.6. სექსიზმთან დაკავშირებული შიდა დისციპლინური ზომების განმტკიცება და გატარება საჯარო სექტორში, ასევე, გადაწყვეტილების მიმღები თუ პოლიტიკური ორგანოს ყველა დონეზე (მაგ.: პასუხისმგებლობების ან დაფინანსების შემცირებისა თუ გაუქმების გზით, ან ფინანსური სანქციების დაწესებით).

II.F. მართლმსაჯულების სექტორი

სამოქალაქო, ადმინისტრაციულ თუ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასა და სამართალდამცველ სისტემაში სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები ბარიერს უქმნის მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაძლოა, მან გამოიწვიოს არაინფორმირებული ან დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ეყრდნობა წინასწარ შექმნილ წარმოდგენებსა და თანდაყოლილ მიკერძოებებს, რელევანტური ფაქტების ნაცვლად.[12]

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.F.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინებით, ყველა მოსამართლისა და მაგისტრის რეგულარული და ადეკვატური ტრენინგები ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე, ასევე, გენდერული მიკერძოებითა თუ სტერეოტიპიზაციით და სექსისტური ენის გამოყენებით გამოწვეულ ზიანზე, განსაკუთრებით, ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის შემთხვევებში.[13]

II.F.2. სამართალდამცველი ორგანოების პერსონალის ტრენინგი სექსიზმის, კიბერსექსიზმის, სექსისტური სიძულვილის ენისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ; პოლიციისათვის ასეთ ქცევაზე შეტყობინების ხელშეწყობა; პოლიციის უფლებამოსილების გაუმჯობესება ინტერნეტსივრცეში ძალადობის მტკიცებულების ამოსაღებად და უზრუნველსაყოფად.

II.F.3. ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების მიმღებლური დამოკიდებულების ხელშეწყობა მესამე მხარის ჩარევისა და ექსპერტული მოსაზრებების მიმართ, ისეთ უცნობ თემებზე, როგორიცაა სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპიზაცია.

II.F.4. ძალადობის შეტყობინებისა და სამართალდამცველ ორგანოებზე წვდომის სისტემათა უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა და ადეკვატურობა; ფინანსური გადასახადების ან სხვა შემაკავებელი ფაქტორების გაუქმება, რომელთა გამოც

---

[12] „ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის განმტკიცების შესახებ“ (CM(2016)36-final), „საჭიროა ყველა ძალისხმევის გაღება თავად სასამართლოს ფარგლებში გენდერულ სტერეოტიპიზაციასთან საბრძოლველად“ (მოქმედება 2.4); OHCHR, „სამართლებრივი სტერეოტიპიზაციის აღკვეთა - მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომა ქალებისთვის გენდერით მოტივირებული ძალადობის შემთხვევებში“, 2014 წლის 9 ივნისი.
[13] იხ. ევროპის საბჭო (2017), „სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის, მართლმსაჯულებაზე ქალების წვდომის შესახებ“, ხელმისაწვდომია მისამართზე: https://rm.coe.int/training-manual-women-access-to-justice/16808d78c5.

მსხვერპლი თავს იკავებს ინციდენტზე შეტყობინებისა თუ სათანადო ორგანოში საჩივრის შეტანისგან. ნაბიჯების გადადგმა ხელახალი ვიქტიმიზაციის რისკზე რეაგირებისათვის.

II.F.5. სამართლის პროფესიული ორგანოების ხელშეწყობა, რათა ორგანიზება გაუწიონ საჯარო ლექციებსა და სხვა ღონისძიებებს სამართლის სპეციალისტთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ასამაღლებლად სექსიზმსა და გენდერულ სტერეოტიპიზაციაზე მართლმსაჯულების სისტემაში.

II.G. საგანმანათლებლო დაწესებულებები

სექსისტური გზავნილები აყალიბებს ჩვენს საზოგადოებას. მათი კვლავწარმოება ხდება საგანმანათლებლო სისტემებით, რომლებიც გაჯერებულია ასეთი გზავნილებით, თუმცა კი უნდა უპირისპირდებოდეს მათ. ბავშვები და ახალგაზრდები გენდერულ სტერეოტიპებს ითვისებენ კურიკულუმის, სასწავლო მასალების, ქცევისა და ენის მეშვეობით.[14] სექსიზმი შესაძლოა ღრმად იყოს ფესვგადგმული საგანმანათლებლო დაწესებულებათა კულტურაში ყველა დონეზე - სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული უმაღლესი განათლების დაწესებულებებამდე. მას შეიძლება ჰქონდეს არაერთი ფორმა (მაგ.: სექსისტური გამოსახულებების, ენის ან გამოხატვის დაშვება და დამკვიდრება; არაკონფორმისტული გენდერული ქცევის შეუწყნარებლობა; თანამშრომელთა და სტუდენტთა გაუცნობიერებელი მიკერძოების უპასუხოდ დატოვება; გასაჩივრებისა და აღრიცხვის მექანიზმთა არარსებობა ან არაადეკვატურობა; სექსუალური შევიწროების მიმართ - მათ შორის, სხვა სტუდენტთა მხრიდან - სანქციების არარსებობა). სექსიზმის ასეთმა ღრმადფესვგადგმულმა ფორმებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს შემდგომ განათლებაზე, კარიერასა და ცხოვრების სტილზე. სახელმწიფოებს ასევე ევალებათ, რომ კერძო დაწესებულებებს დააკისრონ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე; გამონაკლისი არ უნდა იყოს რელიგიური ინსტიტუტებიც.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.G.1. მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის გაცემული CM/Rec(2007)13 რეკომენდაციის (განათლებაში გენდერის მეინსტრიმინგის შესახებ) სრულად განხორციელება.

II.G.2. გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; სექსიზმისა და სექსისტური ქცევის აღკვეთა საგანმანათლებლო პროცესის ყველა ასპექტში, ინციდენტთა შეტყობინების, მათზე რეაგირებისა თუ აღრიცხვის მექანიზმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ჩათვლით.

II.G.3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სექსიზმისა და სექსისტური ქცევის პრევენციაზე კამპანიების ჩატარება და/ან მხარდაჭერა; ნულოვანი ტოლერანტობა ასეთი ფენომენის მიმართ, გენდერული სტერეოტიპიზაციის, ბულინგის,

[14] იხ. ევროპის საბჭოს კონფერენციის „გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა განათლებაში და განათლების საშუალებით“ დასკვნები და რეკომენდაციები (ჰელსინკი, 2014 წლის 9-10 ოქტომბერი), იხ. კონფერენციის ანგარიში: https://rm.coe.int/1680590f0.

კიბერბულინგის, სექსისტური შეურაცხყოფისა და გენდერით მოტივირებული ძალადობის ჩათვლით.

II.G.4. ისეთი ღონისძიებების ორგანიზება (მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით), რომლებიც ეთმობა გენდერული თანასწორობის საკითხებს, ასევე სექსიზმთან, გენდერულ სტერეოტიპებსა და გაუცნობიერებელ მიკერძოებასთან ბრძოლისა თუ პრევენციის გზებს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

II.G.5. გენდერული თანასწორობის პერსპექტივის ჩართვა მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების ტრენინგპროგრამებსა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილ კურსებში.

სწავლების მეთოდოლოგიასთან, ინსტრუმენტებსა და კურიკულუმებთან დაკავშირებით:

II.G.6. სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდოლოგიებისა თუ ინსტრუმენტების ჩასართავად კურიკულუმში, განათლების ყველა დონეზე (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში), დაწყებული ადრეული ბავშვობიდან. ეს მოიცავს განათლებას პირადი ცხოვრებისთვის, რათა ბავშვები იყვნენ უფრო დამოუკიდებელნი და გაუმჯობესდეს მათი ურთიერთობები და ქცევა, მათ შორის, თანხმობის საკითხი და პირადი საზღვრები. კურიკულუმი უნდა მოიცავდეს ასაკისთვის შესაფერის, მტკიცებულებაზე დაფუძნებულ, საკმარისად ზუსტ და ამომწურავ სქესობრივ თუ სექსუალურ განათლებას გოგონებისა და ბიჭებისთვის და ფარავდეს სექსიზმის ურთიერთგადამკვეთ ფორმებსაც (მაგ.: მიგრანტის სტატუსსა ან შეზღუდულ შესაძლებლობასთან მიმართებით).

II.G.7. იმ გვერდების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც შეიცავს რესურსებს, კარგი პრაქტიკის მაგალითებს და სწავლის/სწავლების მასალებს; ასევე, ისეთი სახელმძღვანელოს მხარდაჭერა, რომელიც ეხმარება გენდერული სტერეოტიპების გამოვლენასა და აღმოფხვრას ტრენერების, მასწავლებლებისა და ინსპექტორებისათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო მასალებში.

II.G.8. სპეციალური პროგრამებისა და კარიერული კონსულტაციების ხელშეწყობა. ისინი სტუდენტებს დაეხმარება სწავლასა და კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც არ ეფუძნება გენდერულ სტერეოტიპებს; თანამშრომელთა ტრენინგები გენდერულ სტერეოტიპებსა და გაუცნობიერებელ მიკერძოებაზე.

II.H. კულტურა და სპორტი

სექსიზმი ვლინდება კულტურული ცხოვრების არაერთ ასპექტში, იმის გათვალისწინებით, რომ გენდერული სტერეოტიპები ფართოდ არის გავრცელებული. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კომიტეტის თანახმად, კულტურული ცხოვრება მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ცხოვრების წესი, ენა, ზეპირი და წერილობითი ლიტერატურა, მუსიკა და სიმღერა, არავერბალური კომუნიკაცია, რელიგია ან რწმენის სისტემები, რიტუალები და ცერემონიები, სპორტი და თამაშები, წარმოების მეთოდები ან ტექნოლოგია, ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი

გარემო, საკვები, ტანსაცმელი და თავშესაფარი, ხელოვნება, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ხელოვნება და კულტურა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დამოკიდებულებებსა და გენდერულ როლებს. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ სფეროებში სექსიზმზე რეაგირება. ამასთან, სტამბოლის კონვენციის თანახმად, კულტურა, რელიგია, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ვერ გაამართლებს ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობას.

საჭიროა სპორტის სფეროში რეაგირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მედიის, სპორტული ორგანიზაციების, მწვრთნელების, სპორტული ლიდერების, ათლეტებისა და სხვათა სექსისტური დამოკიდებულება; სპორტში ქალების სექსისტური აღწერა; ქალების სპორტულ მიღწევათა ტრივიალიზება მათი წარმოჩენით სტერეოტიპულ როლებში და სპორტული საქმიანობის დაკნინებით; სექსიზმი და სექსისტური სიძულვილის ენა სპორტულ ღონისძიებებზე.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.H.1. კულტურისა და სპორტის სექტორებში სექსიზმთან ბრძოლის ინსტრუმენტების შექმნა და ხელშეწყობა (მაგ.: როგორიცაა ტრენინგის მასალები ან ინსტრუმენტები გენდერულად სენსიტიური ენისა და კომუნიკაციის შესახებ).

II.H.2. მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის გაცემული ისეთი რეკომენდაციების ხელახლა დადასტურება და შესრულება, როგორიცაა CM/Rec(2015)2 სპორტში გენდერის მეინსტრიმინგის შესახებ და CM/Rec(2017)9 აუდიო-ვიზუალურ სექტორში გენდერის თანასწორობის შესახებ.

II.H.3. კულტურისა და სპორტის წამყვანი ფიგურების წახალისება სექსისტური ვარაუდების კორექტირებისა და სექსისტური სიძულვილის ენის დაგმობის კუთხით.

II.H.4. ყველა დონეზე არსებული სპორტული ფედერაციებისა და ასოციაციების, ასევე, კულტურული დაწესებულებების მოწოდება, რომ მოამზადონ ქცევის კოდექსი სექსიზმისა და სექსისტური ქცევის პრევენციისათვის. იგი უნდა შეიცავდეს დებულებებს დისციპლინურ სანქციებზეც. კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე ნულოვანი ტოლერანტობის ხელშეწყობა სექსიზმისა და სექსისტური სიძულვილის ენისადმი.

II.H.5. ყველა დონეზე არსებული სპორტული და კულტურული სექტორების მოწოდება, შეიმუშაონ კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას, ასევე, ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების არასტერეოტიპულად წარმოჩენას.

II.H.6. მედიის, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მედიის მიერ ქალთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქება და ტრანსლაცია კაცების თანასწორად და მათი მიღწევების საჯაროდ აღიარება.[15] ისეთ სპორტში მონაწილე ქალების/კაცების, გოგონების/ბიჭების წარმოჩენა და პოზიტიური როლის ხელშეწყობა, სადაც მათი წარმომადგენლობა დაბალია.

[15] მაგ.: საიტი „ამ გოგოს შეუძლია (This Girl Can)“, რომელიც ეთმობა აქტიური ქალების წარმოჩენას (www.thisgirlcan.co.uk/).

II.I. კერძო სფერო

სექსიზმი ოჯახში შესაძლოა ხელს უწყობდეს სტერეოტიპული როლების განმტკიცებას, ქალთა უფლებების შეზღუდვას, დაბალ თვითშეფასებას და ძალადობის ციკლს ქალებისა და გოგონების მიმართ. ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ ცხოვრებასა და კარიერაზეც. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული გენდერული როლები ოჯახში (რომლის მიხედვითაც კაცი არის მარჩენალი, ქალი კი საოჯახო საქმეების შემსრულებელი) შეიცვალა და სულ უფრო მეტი ქალი შეუერთდა ანაზღაურებად სამუშაო ძალას, ცვლილების ხელშემწყობი ფაქტორები მნიშვნელოვნად განსხვავდება ოჯახებისა და სახელმწიფოების მიხედვით. სექსისტური ქცევა ფართოდ არის გავრცელებული ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, ხოლო ქალები კვლავ კაცებზე მეტად აგრძელებენ არაანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას სახლში.

CEDAW-ს მე-16 მუხლი მხარე სახელმწიფოებს აკისრებს სათანადო ზომების მიღებას ოჯახში ქალთა და კაცთა თანასწორობისათვის.[16] კავშირი სექსიზმსა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის პრევენციას შორის ამყარებს კერძო სფეროში აქტივობათა განხორციელების საჭიროებას.

ზემოთ წარმოდგენილი ღონისძიებები, განსაკუთრებით, ენის, ცნობიერების ამაღლების, ასევე, მედიის, განათლებისა და კულტურის სექტორების შესახებ, ძალზე მნიშვნელოვანია კერძო სფეროში სექსიზმზე რეაგირებისათვის.

ამავდროულად, ოჯახში სექსიზმზე სანქციების დაწესება მიზანშეუწონელია, თუკი ქცევა არ აღწევს სისხლისსამართლებრივი ქმედების ზღვარს, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა ქალების მიმართ.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებები:

II.I.1. ზომების გატარება პირადი და სამსახურებრივი ცხოვრების დასაბალანსებლად. მათ შორის იგულისხმება: ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება (როგორც მამის, ისე დედის); საყოველთაო, ხარისხიანი და ფინანსურად ხელმისაწვდომი ბავშვთა ზრუნვისა და სხვა სოციალური სერვისები; მოქნილი სამუშაო განრიგი, როგორც ქალების, ისე კაცებისთვის; გაუმჯობესებული წვდომა ხანდაზმულებსა და სხვა დამოკიდებულ პირებზე ზრუნვის სერვისებზე; კამპანიების ორგანიზება ქალებსა და კაცებს შორის პასუხისმგებლობათა თანაბრად განაწილებისთვის ოჯახსა და ზრუნვასთან დაკავშირებით.

II.I.2. პოზიტიური აღზრდის მხარდამჭერი პოლიტიკისა და ღონისძიებების ხელშეწყობა. ეს უზრუნველყოფს თანასწორ შესაძლებლობებს ბავშვებისთვის, სქესის, სტატუსის, შესაძლებლობებისა და ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად. პოზიტიური აღზრდის თანახმად, მშობლების ქცევა უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის

---

[16] ამასთან, CEDAW-ს მე-2 მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ „ყველა შესაბამისი ზომა რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად.“

საუკეთესო ინტერესებს, იყოს მზრუნველობითი, გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი, გამაძლიერებელი და არაძალადობრივი; ასევე, უზრუნველყოფდეს აღიარებასა და მხარდაჭერას, რაც მოიცავს საზღვრების დადგენას და ბავშვის შესაძლებლობათა სრულ განვითარებას.

II.I.3. ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც აუმჯობესებს მშობლის რეაგირების უნარებს კიბერდანაშაულსა და ინტერნეტპორნოგრაფიაზე.

II.1.4 პროფესიული კურსების ფარგლებში, ტრენინგის ხელშეწყობა სექსიზმისა და სექსისტური ქცევის იდენტიფიცირების, ასევე, მასზე რეაგირების კუთხით - მათთვის, ვინც მუშაობს ოჯახურ და ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე (მაგ.: სოციალური სამსახურების თანამშრომლები, დედების კეთილდღეობისა და ბავშვზე ზრუნვის ცენტრები).

III. ანგარიშგება და შეფასება

წინამდებარე რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მონიტორინგი გაუწიონ პროგრესს რეკომენდაციის შესრულების კუთხით და კომპეტენტურ მმართველ კომიტეტ(ებ)ს ინფორმაცია მიაწოდონ გატარებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ წარმატებებზე.

ანგარიშგება უნდა ხდებოდეს რეგულარულად და მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- სექსიზმზე, სექსისტურ ქცევაზე, გენდერულ სტერეოტიპიზაციასა და სექსისტური სიძულვილის ენაზე რეაგირების სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოები, ღონისძიებები და საუკეთესო პრაქტიკა, განსაკუთრებით, ისეთ სივრცეებში, როგორცაა საჯარო ადგილები, ინტერნეტი და მედია, სამსახური, საჯარო, მართლმსაჯულების, განათლების, სპორტისა და კულტურის სექტორები და კერძო სფერო; ასევე, სექსისტური ქცევის შეტყობინების ინსტრუმენტები, დისციპლინური პროცედურები და სანქციები;
- კომპლექსური პოლიტიკა, ან ეროვნული სტრატეგიის ჩარჩოს ფარგლებში არსებული პოლიტიკა გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც მიღებულია სექსიზმისა და სექსისტური ქცევის აღსაკვეთად, განმარტებების, ინდიკატორების, ასევე, ეროვნული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ჩათვლით;
- კოორდინირებული ორგანოს მუშაობა, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ევალება რეკომენდაციის ეროვნულ დონეზე შესრულების მონიტორინგი;
- მაღალი რისკის სფეროებში სექსიზმისა და სექსისტური ქცევის გავრცელებასა თუ შედეგებზე მონაცემთა შესაგროვებლად ჩატარებული და მხარდაჭერილი კვლევა და მისი შედეგები;
- ცნობიერების ასამაღლებელი ეროვნული ღონისძიებები და კამპანიები, გატარებული ყველა დონეზე, მათ შორის, მედიასაშუალებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ისინი განხორციელდა.

ბოლოდროინდელმა მოძრაობებმა, როგორიცაა #MeToo, ცნობიერება აამაღლა მუდმივ, ფართომასშტაბიან სექსიზმზე საზოგადოების ყველა სფეროში. პასუხად, ევროპის საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 სექსიზმთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ. წინამდებარე ტექსტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მოიცავს სექსიზმის პირველ საერთაშორისო სამართლებრივ განმარტებას. რეკომენდაცია ერთმანეთთან აკავშირებს „ყოველდღიური სექსიზმის“ გამოვლინებებსა და ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც იმ კონტინუუმის ნაწილს, რომელიც ქმნის ზეწოლის, შიშისა და დისკრიმინაციის ატმოსფეროს და ძირითადად ქალებსა და გოგონებზე აისახება. ამ ტექსტის მიზანია, ნათელი მოჰფინოს სექსისტური ქცევის არსს და განსაზღვროს მასზე რეაგირების კონკრეტული გზები მთავრობებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. მასში გაერთიანებულია 47 სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროპული კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

ბოლოდროინდელმა მოძრაობებმა, როგორიცაა #MeToo, ცნობიერება აამაღლა მუდმივ, ფართომასშტაბიან სექსიზმზე საზოგადოების ყველა სფეროში. პასუხად, ევროპის საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 სექსიზმთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ. წინამდებარე ტექსტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მოიცავს სექსიზმის პირველ საერთაშორისო სამართლებრივ განმარტებას. რეკომენდაცია ერთმანეთთან აკავშირებს „ყოველდღიური სექსიზმის“ გამოვლინებებსა და ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც იმ კონტინუუმის ნაწილს, რომელიც ქმნის ზეწოლის, შიშისა და დისკრიმინაციის ატმოსფეროს და ძირითადად ქალებსა და გოგონებზე აისახება. ამ ტექსტის მიზანია, ნათელი მოჰფინოს სექსისტური ქცევის არსს და განსაზღვროს მასზე რეაგირების კონკრეტული გზები მთავრობებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. მასში გაერთიანებულია 47 სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროპული კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE